საქართ. კომპარტ. სოც.-ფედ. საბჭ. პარტიი

წელიწადი მეხუთე

# ტრიბუნა

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 700,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 30,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 200,000 მან. ნონპარელი
4 „ 150,000 „ „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

ცენტრალური კომიტეტის ორგანო

№ 482 ოთხშაბათი, მაისის 30 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 30,000

ნინო ნაკაშიძე, მაკა, სიმონი, პატარა ეთერი წერეთლები და დიამიდე ამით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა მათი ძვირფასი

## ილიკო

რომლის დაკრძალვა მოხდება დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. გამოსვენება 30 მაისს ოთხშაბათს 4 ნახ. საათზე მამადავითის ქუჩა № 2.

№ 421. 1—1

ელენე, ლევანი, ალექსანდრე მეუღლეებით, ივანე ნაკაშიძენი ეკატერინე და ლეო კრემერები შვილებით, მარიამი, ლიზა, სამსონი, ალექსანდრე, იოსები მეუღლეებით და შვილებით, ვიქტორია ძმებით—ანთაძენი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ რომ მოულოდნელად გარდაიცვალა პირველთათვის ძმა, მეორეთათვის სიძე და მესამეთათვის ალმზრდელი ბიძა საერთო ძვირფასი მეგობარი

## ილიკო ნაკაშიძე

№ 422. 1—1

## მენშევიზმის კრიზისი.

თანამედროვე ვითარება უკიდურესობათა სახეებით ხასიათდება. მიკიბულ-მოკიბულ გზებით სიარულით არ იძლევა მნიშვნელ მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. გარკვეული ხაზი, ჩამოყალიბებული ფიზიონომია უფრო ხდის აუცილებელს გამარჯვებისა თუ დამარცხების რეალურ პირობების შექმნას მტრულად განწყობილ ძალთა დაპირისპირებაში.

განვლილ წლების პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მჩაგვრელთა და ჩაგრულთა შუა არსებული ბრძოლა ფაქტის საკითხია და არა ოცნებისა და ილიუზიის. საერთაშორისო პროლეტარიატი ებრძვის საერთაშორისო ბურჟუას. მთელი მსოფლიოს მასშტაბითაა თითქმის გადაშლილი ეს სურათი. მართალია, ზოგ ქვეყნებში კლასთა ბრძოლას ფარული ხასიათი აქვს, ზოგან-აშკარა. არის მთელი რიგი მაგალითების პროლეტარიატის შეიარაღებული გამოსვლის კაპიტალისტების წინააღმდეგ. ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლას სისტემატიური სახით წარმოებს მშრომელი მასსა, ბრძოლის სხვადასხვა იარაღებით ხელში.

ორივე ბანაკი განსაზღრული მიზეზებით ხასიათდება. მიზანთა სხვაობის ნიადაგზეა მწვავე ომი გაჩაღებული. აშკარაა, მოპირდაპირე კლასების საერთო ენაზე ალაპარაკება შეუძლებელია იმდენად, რამდენად წარმოუდგენელია მჩაგვრელთა და ჩაგრულთა ინტერესების გაერთიანება. ამიტომ სამსოფლიო მასშტაბით გადაშლილი ორი ფრონტი დარჩება ორ მოპირდაპირე ფრონტად ერთ-ერთის სრულ ლიკვიდაციამდე.

სოციალისტური მიმართულება, რომელიც არ ღალატობს რევოლიუციონური სოციალიზმის პრინციპებს, უსათუოდ ჩაგრულთა ბანაკში უნდა იყოს.

ვინც ერთ მხარეზეა, ებრძვის მეორე მხარეს, პირიქით, კაპიტალსა და შრომას შუა არსებულ შეიარაღებულ დაპირისპირებაში „ოქროს საშუალოზე“ დგომა გაცხელებულ ქვემბარებისა და ტყვიისაგან ბოლოს მოღების მომასწავებელია.

მუშათა მოძრაობაში მენშევიკურ მიმდინარეობას საპატიო ადგილი ეკავა. პროლეტარული მასსა ამბისა და სასოების თვალით უყურებდა „მუშათა პარტიას“. მაგრამ საერთაშორისო ომმა და თანადროვე მოვლენებმა ფარდა ახადა მენშევიზმს. ვხედავთ, რომ მენშევიკური მიმართულების იდეოლოგები კაპიტალიზმის დამცველის როლში არიან გამოსული. მართალია, ოთხი წლის წინეთ ისინი მუშათა კლასს ჩასჩიჩინებდნენ: არც მარცხნივ, არც მარჯვნითო, მაგრამ მენშევიზმმაც თავი ამოყო ბურჟუაზიის ბანაკში. თავიანთი მოღვაწეობით საერთაშორისო მენშევიზმი არსებითად ხელს უწყობს მომაკვდავ კაპიტალისტურ სამყაროს გამოცოცხლებასა და გახანგრძლივებას. ევროპის სოც.-დემოკრატები ანტანტის კაპიტალის იანიჩარობის მოვალეობას ასრულებენ. საერთაშორისო კაპიტალის მესვეტეებმა მოკავშირე და მეგობარი ჰპოვეს სწორედ იმ ხალხში, რომელიც ოდესღაც პატრონობას და ხელმძღვანელობას ეფიცებოდა მუშათა კლასის ფართო წრეებს.

საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელი კომუნისტური ინტერნაციონალია. რომ ეს სწორია და ფაქტი, თვით კაპიტალისტურ პრესისათვისაც ნათელია. ევროპის ბურჟუაზია კომინტერნში ხედავს რეალურ ძალას, რომლის მოსპობა-განადგურებას მოითხოვს კაპიტალისტური საარსებო ინტერესები. ბურჟუაზია ებრძვის რევოლიუციის შტაბს თავისივე შტაბის დაპირისპირებით.

აშკარაა ერთი გარემოება: პროლეტარულ მასსებს რევოლიუციონური ფენები ან თანაუგრძნობს მესამე ინტერნაციონალს, ან მხურვალე ურთიერთობა აკავებს მასთან. ანალოგიურ გზას ადგას სოციალისტური და რევოლიუციონური პარტიები; მხოლოდ საერთაშორისო მენშევიზმია კომინტერნთან მტრულად განწყობილი. რას ნიშნავს ეს? უწინარეს ყოვლისა შემდეგს: სოციალ-დემოკრატიული მიმართულება სდგას რევოლიუციის ორიენტაციის გარეშე. იგი არ იზიარებს მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლის საჭიროებას მთელი ქვეყნის მყვლეფელთა წინააღმდეგ. აქედან ლოღიკური დასკვნაა: მენშევიზმი ებრძვის რა საბჭოთა ფედერაციას, მუშათა ერთიან ფრონტს და კომინტერნს, ამით ხელს უწყობს კაპიტალის ბატონობას შრომაზე, მხარში უდგას კერზონ—პუანკარეებს რეაქციის ცეცხლის გაღვივების საქმეში.

დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატ მუშებში უკვე ფეხს იკიდებს ანტიმენშევიკური რწმენა ევროპის მენშევიკური პარტია ფაქტიურად იმყოფება დაშლის გზაჯვარედინზე. მაგრამ თვალსაჩინოა და ხელშესახები მენშევიზმის იდეური და ორგანიზაციული გაკოტრება საბჭოთა რესპუბლიკების სინამდვილეში.

კერძოთ ჩვენში, საქართველოში, მენშევიზმს დიდად ჰქონდა ფესვები გადგმული მშრომელი ხალხის გულში. მენშევიზმი ცნობილი იყო, როგორც ანტიეროვნული ძალა და მუშათა ინტერესების „დამცველი“ მიმდინარეობა. ისტორიამ მენშევიკებს მეტად დიდი ბედი არგუნა: ისინი საქართველოს ბატონ-პატრონად მოგვევლინა. მენშევიკური დიქტატურა სამ წელს გაგრძელდა. რა გააკეთეს მენშევიკებმა ამ ხნის განმავლობაში?—არც იმის მინიმუმი, რის გაკეთებაც შეიძლებოდა. მუშათა საკითხი საკითხად დარჩა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან დემოკრატიული საქართველოს შენობა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ საფუძვლებზე შენდებოდა. მენშევიკები არ შეებრძოლენ ბურჟუაზიას, პირიქით უფრო გააძლიერეს მისი შემდეგი განვითარების აუცილებელი პირობები. სოც.-დემ. იმედი გაუქარწყლეს ქალაქის და სოფლის მუშებს, ხოლო სრული ნდობა დაიმსახურეს სპეკულიანტურ „ახალგაზრდა ბურჟუაზიის“, გლეხმა ვერ მიიღო მიწა, ქარხნის მუშამ წარმოებაზე კონტროლი, გაუმჯობესებული მდგომარეობა. რა თქმა უნდა, ეს გარემოება ქმნიდა საქ. მშრომელ ხალხში ანტიმენშევიკურ მიდრეკილებას.

არც ეროვნული პროგრამა გაამართლა მენშევიზმა პრაქტიკაში. სოც.-დემოკრატი მუშა ცენტრალისტური იდეებით საზრდოობდა. 1918 წლიდან კი მენშევიკებმა გვერდი აქციეს თეორიას და სეპარაციის განხორციელებას შეუდგნენ. უსათუოა, სოც.-დემოკრატია არ იყო გულწრფელი საქართველოს ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლასა და დაცვაში. მან „დამოუკიდებლობის პრინციპი პირობათა ძალდატანებით, იძულებით აღიარა. მენშევიზმის ოფიციოზს—გაზ. „ერთობას“ არა ერთხელ და ორხელ საჯაროდ განუცხადებია ეს. ქართველ მუშას სწამდა მენშევიკების ფარისევლობა საქართველოს საკითხში.

მაშასადამე, საერთაშორისო კაპიტალსა და შრომას შუა გაჩაღებულ ჭიდილში ბურჟუაზიის ბანაკში მოკალათებამ, რევოლიუციონურ სულისკვეთების შენელებამ, თვით საქართველოში მუშათა კლასის მოტყუილებამ როგორც ეროვნულ, ისე სოციალურ კითხვებში, მენშევიკური პარტია სრული დეგენერაციის, დაშლისა და გახრწნის გზაზე დააყენა. ამიტომ ბუნებრივია მუშების მასიური გამოსვლა მენშევიკურ პარტიის რიგებიდან. ამ პროცესს ვერ შეანელებს ვერც ჟორდანია-ჩხეიძის მუდარა, ვერც საქ. სოც.-დემ. პარტიის ცეკას შავი განაჩენი პარტიულ „დეზერტირებზე“.

დიახ, მენშევიკური პარტია საბედისწერო დილემის წინაშეა წამდგარი. იგი ან უნდა თანამედროვე რევოლიუციის იდეალებს ეზიაროს, ან ფაქტიურად, ოფიციალურად ფაშიზმს შეუერთდეს. ორივე შემთხვევაში ხელში გვრჩება ერთი და იგივე შედეგი: მენშევიზმის მოსპობის ფაქტი.

მენშევიკური პარტიის დაშლით საქართველოს მშრომელი ხალხი არაფერს დაკარგავს, პირიქით, ეს plus-იც იქნება, როგორც ანტიეროვნული და არსებითად ანტირევოლიუციონური მიმართულების მოსპობის. ქართველი მშრომელი მასსა საერთაშორისო რევოლიუციისათვის ბრძოლაშია ჩაბმული. მას არ ჩაუკლავს ბრძოლის ენერგიას მენშევიზმის კრიზისი...

## ზღვით-დეპეშები

### აჯანყება რურის ოლქში.

**ბერლინი,** 25 მაისი. მუშებსა და გილზენკირხენის ბურგომისტრს შორის მოლაპარაკების შემდეგ ქალაქში მოეწყო წესრიგის დამცველი კომისია ოთხი კაცისაგან, კომისიაში შედიან აგრეთვე პროფკავშირების წარმომადგენლები. მოეწყო აგრეთვე სპეციალური ორგანიზაცია მუშების დასაცავად. გილზენკირხენის ქუჩებზე გამოდიან მხოლოდ მუშები. გამვლელებს ჩხრეკენ. პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაზე წითელი დროშა ფრიალებს. მცხოვრებლებმა აიძულეს ვაჭრები დაეკლოთ ფასებისათვის, კომუნისტი წესრიგის დამცველები თვალყურს ადევნებენ, რომ ქურდობას ადგილი არ დაურჩეს. თუ როგორ ხასიათს მიიღებს გილზენკირხენის ამბები, გამოურკვეველია, თითქმის მთელი რურის ფაბრიკა-ქარხნებში და მაღაროებში მუშაობა შეწყვეტილია.

**ბერლინი,** 25 მაისი. უკანასკნელ დღეებში მთელ რურის ოლქს მოედო გაფიცვების ტალღა, რომელიც გამოწვეულია პირველი საჭიროების საგნებზე ფასების ზღაპრულათ ზრდით და მარკის კურსის დაცემით გაფიცვების ცენტრია დორტმუნდი და გილზენკირხენი.

**ბერლინი,** 25 მაისი. ოთხი დღის უკან გილზენკირხენში გაფიცვის გამო მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებები. მუშებმა გაიმარჯვეს. გუშინ ახლობელ ქალაქ ვანედან გილზენკირხენში მოვიდა ბურჟუაზიული თავდაცვის რაზმები, რომელსაც შეტაკება მოუხდა პროლეტარულ თავდაცვის რაზმებთან. ბურჟუაზიის რაზმები დამარცხდა და გაიქცა.

**ბერლინი,** 25 მაისი. „როტე ფანე“ აფრთხილებს რურის მუშებს არ აყვენ ფრანგ და გერმანელ პროვოკატორებს, გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანიის ბურჟუაზია დაინტერესებულია იმაში, რომ მუშათა კლასი პროვოკაციის ანკესზე წამოეგონ, რომ ამით საშვალება მიეცეს მას სისხლში ჩაალრჩოს პროლეტარიატი. „როტე-ფანე“ აღნიშნავს, რომ კომპარტიის მოვალეობას შეადგენს გააფრთხილოს უიარაღო მუშები შეიარაღებულ მტრებთან ბრძოლისაგან.

**ბერლინი,** 25 მაისი. ბურჟუაზიული პრესა სასტიკად ილაშქრებს კომუნისტების წინააღმდეგ და ავრცელებს აშკარად ყალბ ცნობებს რადეკის ვითომდა რურში ჩამოსვლის შესახებ.

გაზეთ „ცაიტის“ ცნობით სახალხო პარტიას განზრახვა აქვს შეიტანოს ლანდტაგში შეკითხვა რურის ამბების შესახებ.

შეუმოწმებელ ცნობების მიხედვით, პრუსიის მთავრობამ სთხოვა საოკუპაციო ხელისუფლებას ნება დართოს პოლიციელთა რაზმების გაგზავნაზე იმ რაიონებში, სადაც აჯანყება ხდება. დორტმუნდის სოციალ-დემოკრატიულმა პროფკავშირებმა დეპეშით მიმართეს გამბურგის კონგრესს, რომელშიაც სთხოვენ მას დაუყოვნებლივ ჩაერიონ რურის კონფლიქტში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, რურის ამბები კატასტროფიულ ხასიათს მიიღებენ.

**ბერლინი,** 28 მაისი. მიღებული ცნობებით, აჯანყება რურში უფრო ძლიერდება. აღელვება ესსენსაც მოედო.

**ბერლინი,** 28 მაისი. მღელვარება გილზენკირხენიდან ბოხუმსაც მოედო. აჯანყებული მუშები თავს დაესხენ ბურჟუაზიული გაზეთების რედაქციებს.

**ბერლინი,** 28 მაისი. რურის ამბებმა შიშის ზარი დასცა გერმანიის მთელ ბურჟუაზიულ პრესას პრესის აზრით მდგომარეობა ბოხუმში და დორტმუნდში „კრიტიკულია“.

**ბერლინი,** 28 მაისი. გერმანიის მთავრობა პარასკევს იხილავდა მუშების აჯანყებით რურის ოლქში შექმნილ მდგომარეობას.

პრუსიის პრემიერმა მოწოდებით მიმართა რურის ოლქის მცხოვრებთ დაემორჩილონ ბურჟუაზიის თავდაცვის რაზმებს.

**პარიზი,** 28 მაისი. გილზენკირხენში მუშათა ხელისუფლება მაგრათ გრძნობს თავს.

**პარიზი,** 28 მაისი. მუშების აჯანყება მთელ რურს ედება.

პარასკევს ესენში მოხდა დიდი გამოსვლები. უმუშევრებმა აიძულეს ვაჭრები საქონელზე ფასები დაეკლოთ.

**პარიზი,** 28 მაისი. რურში აჯანყებით შეშინებული ბურჟუაზიული გაზეთები მოითხოვენ სასწრაფო ზომების მიღებას. გაზეთები აღიარებენ, რომ მარკის კურსის დაცემა და საქონელზე ფასების ზრდა არის აჯანყების მთავარი მიზეზი.

### რუსეთი და ინგლისი

#### რუსეთის პასუხი ნიშნავს გარდატეხას პოლიტიკურ ურთიერთობაში

**ლონდონი** 24 მაისი. იხილავს რა რუსეთის ნოტას, „დეილი ჰერალდ“-ი სწერს: „ახლა ბალდვინის საქმეა განიხილოს, შეიძლება თუ არა იმ ნოტას, რომელშიც გამოთქმულია უთანხმოება რუსეთისათვის წარდგენილ მოთხოვნილებების გარჩევაზე, მოეპყრას ისე, როგორც 1914 წ. ავსტრია მოეპყრა სერბიის პასუხს. რუსეთის პასუხმა თავის თავდაჭერილობით და წინდახედულობით ახალი ნაკადი შეიტანა დიპლომატიურ ურთიერთობაში. სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობა არის სოციალისტური მთავრობა, მან ასე თავდაჭერით უპასუხა კერზონის პროვოკაციას. რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკება ნათლათ ხატავს მთელ კონტრასტს კაპიტალისტურ იმპერიალიზმსა და სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს შორის.

### რუსეთის პასუხის გარშემო

#### მიმართავენ სიყალბეებს

**ლონდონი** 24 მაისი. ამერიკელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს კრასინმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის პასუხი ინგლისის მოთხოვნილებებზე უნდა ჩაითვალოს სავსებით დამაკმაყოფილებლად. მაგრამ, არის საფრთხე, რომ ზოგიერთი წრეები ცდილობენ, რაც არ დაუჯდეს, გამოიწვიონ განხეთქილება. შეეხო რა პროპაგანდას, კრასინმა უჩვენა ჟურნალისტებს გაზეთ „პრავდას“ ყალბი ეკზემპლიარი, რომელიც დაბეჭდილია ლონდონის სტამბაში და ეგზავნებოდა ინგლისის ელჩს გელსინგფორსში, რუსეთში გასავრცელებლად.

კრასინმა განაცხადა, რომ თუ ინგლისი შესძლებს წარმოგვიდგინოს ჩვენ რაიმე ნამდვილი საბუთი, რომელიც დაამტკიცებს ჩვენ პროპაგანდას დიდი ბრიტანეთის საზღვრებში, ჩვენ კიდევ უფრო შორს წავალთ, ვინემ ჩვენ უკანასკნელი პასუხში წავედით. ხოლო თუ ინგლისის მთავრობა დადგება განხეთქილების ნიადაგზე, ჩვენ უნდა ველოდეთ თავდასხმას განაპირა სახელმწიფოებზე—და ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპა კვლავ დადგება სერიოზული საფრთხის წინაშე.

**ლონდონი** 24 მაისი. ინგლისის ოფიციალური რადიო ამბობს: „თუმცაღა საბჭოთა მთავრობის პასუხი არ შეიძლება ჩაითვალოს სავსებით დამაკმაყოფილებლად, მაგრამ, მასში აღნიშნულია გარანტიები ინგლისის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. პრესა საერთოდ ამჩნევს რუსეთის პასუხში კეთილ განზრახვებს და მთავრობას არაფრად არ ესაჭიროება დააბრკოლოს რუსეთი ინგლის-რუსეთის ურთიერთობის შეწყვეტის გზით“.

**პარიზი.** 24 მაისი. საფრანგეთის პრესა რუსეთის ნოტას შემარიგებელ ხასიათს აძლევს. „იუმანიტე“ ფიქრობს, რომ საფრთხე არ არის განვლილი, სანამ არსებობს ანტი-რუსეთის ხროვა. მაგრამ, „ინფორმასიონ“-ის აზრით, ბალდვინის კაბინეტი სერიოზულ დამშვიდებას შეიტანს ინგლის-რუსეთის ურთიერთობაში.

### ინგლისის ახალი მთავრობა

**ლონდონი.** 26 მაისი. დღეს ოფიციალურად გამოაქვეყნეს ინგლისის ახალი კაბინეთის შემადგენლობა ბალდევინის თავმჯდომარეობით. ახალ კაბინეთში შევიდნენ ბონარლოუს კაბინეთის ყველა წევრები. კაბინეთის ახალ წევრებს წარმოადგენენ: რობერტ სესილი, რომელიც დანიშნულია სახელმწიფო ხაზინის დამცველად, დავიდსტონი, რომელიც დანიშნულია ლანასტერსის საგერცოგოს კანცლერად.

### პრესის აზრი

**ლოდონი.** 34 მაისი. გაზეთი „სტარ“ ესალმება რა რუსეთის ნოტას, აცხადებს: „ბრიტანეთის მთავრობას არავითარი უფლება არა აქვს არ დასთანხმდეს საერთაშორისო კონფერენციაზე სადავო სამ—მილანი ზონის საკითხის განსახილველად. შეურიგებლები მზად არიან ყველაფრისათვის, ვერ შეჩერდებიან ომის გაჩაღების წინაშეც კი, რომ არ იცნონ საბჭოთა რუსეთი. მაგრამ ეს არ სურს ინგლისის ხალხს, არ შეიძლება არ იცნონ რუსეთი“.

**ლონდონი.** 24 მაისი. რეიტერის სააგენტო

ნახევრად ოფიციალურად აღიარებს, რომ რუსეთის ნოტას ახასიათებს მეტად მშვიდობიანი კილო.

**შეცდომა იქნებოდა**

**ლონდონი.** 24 მაისი. ორი კონსერვატიული გაზეთი „ივნინგ პოსტი“ და „სანდტარტ“-ი სწერენ, რომ შეცდომა იქნებოდა საბჭოთა მთავრობის პაციფისტური განცხადებისათვის სათანადო ყურადღების არ მიქცევა.

## საფრანგეთის მთავრობის კრიზისის გარშემო.

**პარიზი.** 25 მაისი. პუანკარეს გადადგომის გამო. „პტი პარიზიენი“ აღნიშნავს, რომ პუანკარეს გადადგომა არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა მისაღები, რადგანაც პუანკარეს მიერ დაწყებული საქმე ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

**პარიზი.** 25 მაისი. პარიზის დილის გაზეთები გამოსთქვამენ კმაყოფილებას და ნაწილობრივ გაკვირვებასაც სამინისტროს კრიზისის სწრაფად დამთავრების გამო.

**პარიზი.** 25 მაისი. პუანკარეს გადადგომის გამო, გაზეთი „ინტრან-სიჟანი“ ნდობას უცხადებს მილიერანს, გადადგომის მიღებაზე უარის თქმის გამო. გაზეთი აღნიშნავს, რომ მთავრობის პოლიტიკური მდგომარეობა ისევე სერიოზული რჩება, როგორიც იყო.

**პარიზი.** 25 მაისი. საფრანგეთის სოციალისტური გაზეთები კომუნისტების საქმის შესახებ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების გამო აცხადებენ, რომ საფრანგეთის მთავრობას ასე დამარცხება იურისდიქციაში არ განუცდია, როგორც ამ შემთხვევაში.

## რურის საკითხი დეპუტატთა პალატაში.

**მთავრობის პოზიცია.**

**ბერლინი.** 26 მაისი. ხუთშაბათს საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში ირჩეოდა რურის ოკუპაციისათვის კრედიტების მიცემის საკითხი. კამათის დროს სიტყვით გამოვიდა ორნელი, რომელმაც კრიტიკულად განიხილა პუანკარეს პოზიცია და განაცხადა, რომ მისი აზრით, გერმანიის წინადადებანი, რომელნიც მან ამა წ. იანვარში გააკეთა, მოსმენილ უნდა იქნეს.

პუანკარე ამტკიცებდა, რომ მოკავშირეები ამ საკითხში ერთ თვალსაზრისზე იდგნენ და ამიტომ არ იყო მიზეზები გერმანიის მოსასმენად. შემდეგ პუანკარემ უარყო ის აზრი, თითქოს რურის ოკუპაციამ ხელი შეუშალა გერმანიას საერთაშორისო სესხის მიღებისათვის და აღნიშნა, რომ ინგლისი, თუმცა რურის ოკუპაციისაგან ყოველთვის განზე იდგა, მაგრამ ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში უმტკიცებდა საფრანგეთს თავის მეგობრობას. დასასრულ პუანკარემ სთქვა: „ჩვენ მოვიცდით იმ დრომდე, სანამ გერმანია არ შეწყვეტს წინააღმდეგობას და თუ ეს ძალიან დიდხანს გაგრძელდა, მაშინ ჩვენ შეგვიძლიან ძალდატანების ახალი ზომები მივიღოთ“-ო.

პალატამ ოვაციები გაუმართა პუანკარეს.

## შეუთანხმებელთა კონგრესზე.

**გამბურგი.** 24 მაისი. დღეს გამბურგში გაიმართა დიდი დემონსტრაცია ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მრავალმა ათასმა მუშამ. დემონსტრანტებმა აირჩია დელეგაცია, რომელსაც დაავალა შეეკითხოს გამბურგის კონგრესს: 1) აქვს თუ არა კონგრესს განზრახვა განახორციელოს ჰააგის საზავო კონფერენციის დადგენილებები, 2) რა ზომების მიღებას აპირებს კონგრესი ფაშიზმის წინააღმდეგ! 3) მოითხოვს თუ არა კონგრესი რურის ოლქის ევაკუაციას თუ მხარს უჭერს ვერსალის ხელშეკრულებას, 4) სურს თუ არა კონგრესს მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის შექმნა.

## ძველებურად ორ სკამზე ჯდომა.

**გამბურგი.** 24 მაისი. გამბურგის კონგრესზე მოხსენებით ახალი ინტერნაციონალის ორგანიზაციის შესახებ გამოვიდა ფრიდრიხ ადლერი, რომელმაც აღნიშნა, რომ მთავარი საკითხები, მაგალითად—სამშობლოს დაცვის და ბურჟუაზიასთან კოალიციის, ინტერნაციონალში ღიათ დარჩება. მაგრამ ინტერნაციონალის წესდებაში შეტანილია მუხლი, რომლის ძალითაც ინტერნაციონალის აღმასკომის წევრი თუ მინისტრად დაინიშნა ავტომატიურად გამოდის აღმასკომის შემადგენლობიდან. ადლერმა მელანქოლიურად განაცხადა, რომ მიუხედავად ხანგრძლივი თათბირისა, არ მოხდა შეთანხმება გერმანელ და ჩეხ სოციალისტებს შორის.

რევოლიუციონურ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ ფრანკფურტის კონფერენციაზე არჩეულ მოქმედების კომიტეტის წინადადების შესახებ ერთიანი ფრონტის შესაქმნელად, ადლერმა განაცხადა, რომ გამბურგის კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტმა ვერ დაინახა შესაძლებლად კონგრესის ისედაც დიდი დღის წესრიგისათვის ეს საკითხიც დაემატებია, მით უფრო, რომ კომუნისტებთან შეთანხმებას ნაკლები შანსები აქვს.

**ანგორა.** 25 მაისი. ჩეხი ნაცინალ-სოციილისტები, რომლებიც არ დაუშვეს გამბურგის კონგრესზე, წავიდენ გამბურგიდან. წასვლის წინ მათ განაცხადეს, რომ არ შეუძლიათ დათმონ თავისი ნაციონალური პროგრამა—ვერსალის ხელშეკრულების ხელუხლებლობა.

გერმანელმა დამოუკიდებელმა სოციალისტებმა ჩეხო-სლოვაკეთში მოითხოვეს, რომ კონგრესმა გამოიტანოს დადგენილება საბჭოთა რუსეთის აუცილებლად ცნობის შესახებ და მისწეროს ყველა სოციალისტურ პარტიებს მიილონ ყველა ზომები, რათა მათმა სახელმწიფოებმა იცნონ რუსეთი.

**გამბურგი.** 23 მაისი. კონგრესის დღევანდელ სხდომაზე, უოხელდმა მოაგონა დელეგატებს, რომ თავდება ინგლისის ულტიმატუმის ვადა და ამიტომ ურჩია დელეგატებს თავი დაიჭირონ ისეთი აზრების გამოთქმისაგან, რომელთაც რეაქცია თავის სასარგებლოდ გამოიყენებს, მოხსენებით საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის შესახებ გამოვიდა აბრამოვიჩი, რომლის სიტყვა სავსე იყო ჩვეულებრივი მენშევიკური ბრალდებებით. აბრამოვიჩის სიტყვას კონგრესი ცივად შეხვდა. მოდილიანიმ აღნიშნა, რომ ბოლშევიკების უდიდესი დამსახურებაა—თვითმპყრობელობის სამუდამოდ დამხობა, კომუნისტების დიქტატურა ამჟამად აუცილებელია, შემდეგში ის გაქრება, მაგრამ სოციალიზმის მონაპოვარნი დარჩებიან. ინგლისის და იტალიის დელეგატებმა განაცხადეს, რომ აბრამოვიჩის რეზოლიუცია მიუღებელია.

**გამბურგი.** 24 მაისი. საერთო შთაბეჭდილება აბრამოვიჩის გამოსვლის შესახებ ისეთია, რომ მას სიტყვას ფშუტე გასროლის ხასია ჰქონდა გამბურგის „გამოძახილი“, აღნიშნავს რა აბრამოვიჩის სიტყვის ცალმხრივობას, სწერს: „ასეთს რეფერატს ადგილი არ უნდა ჰქონოდა კონგრესზე, რომელიც არკვევს მუშათა კლასის საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს“.

**გამბურგი.** 23 მაისი. მოდილიანიმ გაილაშქრა ოტტო ბაუერის წინააღმდეგ, რომელმაც არ აღნიშნა მუშათა კლასის ბრძოლის პრაქტიკული მეთოდები. მორალური ღონისძიებანი ბრძოლისათვის არ არის საკმაო: სოციალისტებმა უნდა იბრძოლონ მუშათა კლასისათვის პოლიტიკურ ძალა-უფლების მოსაპოებლად. კონგრესმა მიიღო ტომასის რეზოლიუცია 8 საათის სამუშაო დღის და მუშათა კანონმდებლობის დაცვის შესახებ.

**გამბურგი.** 24 მაისი. დღევანდელ სხდომაზე საბჭოთა რუსეთის შესახებ [illegible] აშკარა გახდა, რომ ანტისაბჭოთა [illegible] კონგრესზე პოპულიარობით არ სარგებლობს.

კონგრესის დღის წესრიგში დგას საკითხი იმპერიალიზმის და ვერსალის ხელშეკრულების შესახებ, თავმჯდომარეობს ვანდერველდე, რომელმაც ხელი მოაწერა ვერსალის ზავს.

აღმასკომის მუდმივი სამყოფი იქნე ლონდონი. მდივნებათ არჩეული არიან შოუ და ადლერი.

ინგლისელმა ვებბმი შემოიტანა სარეპარაციო გეგმა, რომლის თანახმად გერმანია იხდის ომით გამოწვეულ ზარალს, მაგრამ არ იხდის არავითარ სამხედრო პენსიებს. ეს ფორმულა, რასაკვირველია, არ ეწინააღმდეგება ანტანტის ინტერესებს.

ვებბის შემდეგ ილაპარაკა გილფერდინგმა, რომელმაც მოითხოვა ყოველგვარ სამხედრო ვალებზე უარის თქმა. მან აღნიშნა, რომ სოციალიზმის შემოღება არ შეიძლება აჯანყების საშუალებით, ის დამყარდება ევოლიუციონური გზით დემოკრატიზმის ჩარჩოებში.

გილფერდინგის შემდეგ გამოვიდა ბლიუმი, რომელმაც გააკრიტიკა ვერსალის ხელშეკრულება. ბლიუმის სიტყვას მთელი კონგრესი ოვაციებით შეხვდა.

## ლოზანას კონფერენცია.

**პარიზი.** 23 მაისი. საფრანგეთის პრესის აზრით, ლოზანას კონფერენციის მდგომარეობა ძლიერ გართულდა.

„ექსცელსიორი“-ის ინგლისელი კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, რომ სალონიკში და ათინაში მოელიან ომს, რომელიც აუცილებლად მიაჩნიათ. „ეკლერ“-ის ლოზანას კორესპონდენტის ცნობით, საერთო განწყობილება ისე გართულდა, რომ შიშობენ კონფერენციის სხდომის გამართვას.

# ახალი ამბები

— **ბრძანება.** განათლების კომისარიატმა თავის ქვემდებარე დაწესებულებებს და განყოფილებებს დაუგზავნა ბრძანება: საქართველოს ს. ს. რ. კონსტიტუციის მე-6 მუხ. და აგრეთვე საქ. მთავრობის განკარგულების თანახმად, რომლის ძალით საქ. რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად ქართული ენაა გამოცხადებული, წინადადება გეძლევათ, რომ საქმეები და ყოველგვარი მიწერ-მოწერა რესპუბლიკის ადგილობრივ ორგანოებთან აუცილებლად აწარმოოთ ქართულს ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

— **კონფერენციის გადადება.** სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის, ანუ დაწესებულებების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც უნდა გახსნილიყო 30 მაისს, გადაიდო. კონფერენციის გახსნის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

— **თემებში ჯარიმების შესახებ.** ტფილისის აღმასკომმა დაადგინა: 1 ივნისამდე შემოსული ჯარიმები დატვირთულ იქნას ადგილობრივ საჭიროებისათვის, 1 ივნისიდან ყოველგვარი ჯარიმები გადმოეგზავნოს ტფილისის აღმასკომის სალაროში.

წინადადება მიეცა საფინანსო განყოფილებას

# „გიმნაზიელის დღიური“*)

**(კოწია კაპანელი: „სული და იდეა“).**

მოქ. კაპანელის „სული და იდეა“ მეტად სუსტი და უსუსურია, როგორც შინაარსით, ისე თითქმის თვით სტილითაც. ის მოგვაგონებს, არც მეტსა და არც ნაკლებს, ისეთ გიმნაზიელის „დღიურს“, რომელსაც ორიოდე ფილოსოფიურ-რელიგიურ შინაარსის წიგნი წაუკითხავს, ათიოდე მხატვრულიც, თანაც შეყვარებია ვინმე ნინო, თუ თინო, უარი მიუღია თავის „ულტიმატუმზე“ მისგან, რითაც „რწმენა“ დაჰკარგვია, თავი „მობეზრებია“, შესდგომია ცხოვრებაზე ფიქრს, მის სხვადასხვა მხრივ „დაფასება-გადაფასებას“—და ყოველივე ეს თანდათანობით აღუნიშნავს თავის „აღშფოთებულ“ სულისა და გულის სარკე—„დღიურ“აში.

თავის თავად ცხადია, რომ ამ გიმნაზიელის მიერ ასეთ განწყობილებისას დაწერილ „დღიურში“ ფილოსოფია და რელიგია, მეცნიერება და ხელოვნება, თავის წყევა და თავის ქება-დიდება, სოფლის ჭირი და უბედურება და მისი ლხინი და ბედნიერება, იმედი და უსახოება, სიკვდილისა და სიცოცხლის უაზრო და გადამლაშებული „ჰანგები“ და სხ. ერთმანეთში არეულია.

სად არის თავი? სად არის ბოლო? როგორია დებულება და რანაირათაა დასკვნა გაკეთებული და სხვა? თქვენ ნინოსადმი თუ თინოსადმი უიმედო სიყვარულით მოშხამულ გიმნაზიელის მსჯელობაში ვერ იპოვით, მიუხედავათ იმისა, რომ მასში ე. ი. მის „დღიურში“ ამასთანავე არა ერთი და ორი ადგილიც მოიპოება ისეთი, სადაც, ასე გგონიათ, საქმე გაქვთ ჭეშმარიტ პოეტ-მხატვარ-პანტეისტთან, მაგრამ, უკაცრავათ არ ვიყოთ—და ყოველივე ეს მისი საკუთრება კი არ გახლავს, არამედ ან ალვირახსნილი „წაბაძვაა“ ამა თუ იმ ნიჭიერ შემოქმედისა, ანდა უკანასკნელის სტრიქონების ოდნათ „შელამაზება“ თუ „გადალამაზება“!

აი, სწორეთ ასეთი გახლავს მოქ. კაპანელის „სული და იდეა“—და მიტომაც არა შესაშურ მდგომარეობაში გვაგდებს მისი გარჩევა.

I

სიცოცხლის წარმოშობის საიდუმლოების ახსნა-გამოაშკარავება ადამიანის სულის უტკბილესა და შეუწყვეტლათ გამამწარებელ ნატვრა-ოცნებას წარმოადგენს. „საიდან მოვედი და სად მივდივარ“?—აი მთელი კაცობრიობის სულის მარად დაუფერფლელ—აგუზგუზებული ცეცხლი და გულის მოუკვლელი ტანჯვა-წყურვილი, ცხოვრება იდუმალობაა! მისი ფარდის ახდას ყველა ნატრობს, ყველა ცდილობს და ყველანი მიილტვიან—მიისწრაფიან, მაგრამ შეუძლებელის შესაძლებლათ გარდაქმნა როგორც დღემდის, ისე მომავალშიც რომ არ მოხდება,—ეს ჩვენი ღრმა რწმენაა.

წუთისოფელი თანდათანობით იცვლება. ჰერაკლიტეს თქმით—„ყველაფერი მიმდინარეობს, ყველაფერი იცვლება“, მაგრამ იმავე დროს ყოველივე უცვლელათ რჩება, რაკი სიკვდილ-სიცოცხლის ჰიდილი თუ თამაში არ იცვლება: როგორიც იყო წარსულში, ისეთივეა აწმყოში და ასეთივე დარჩება მომავალშიც. ტანჯვით ვიბადებით, ტანჯვით ვიზრდებით და ტანჯვით ვკვდებით. მარა სად და რისთვის?!—ეს კი ვერ შეგვიმცნია და ვერც შევიმცნობთ!..

მიუხედავათ ამისა, ლტოლვა-ბრძოლას არ ვსწყვეტავთ. კიდეც რომ შევეცადოთ ამ ლტოლვა-ბრძოლის შეწყვეტას—ვერც შევსძლებთ! რატომ! ამის პასუხს მხატვრულათ პოეტი ჰენრიხ ჰეინე გვაძლევს.

„დედა-მიწა—ეს ის კლდეა, ამბობს ის—რომელზედაც მიჯაჭვულია მთელი კაცობრიობა და ორბი იჭვიანობისა წიწკნავს—გლეჯავს მის მკერდსაო“.

დიახ, იჭვის, „იჭვიანობის ორბის“ კლანჭებშია ჩვენი სული და გული და ამიტომაც კაცობრიობას მანამ არ ექნება დასასრული, სანამ წუთისოფლის შხამ-გესლიანსა და წყვდიადით მოსილ ცხოვრებას ბოლო არ მოეღება.

მოკლეთ: იჭვი—„სულის კიბოა“, როგორც მას სამართლიანათ ფიზიოლოგები და ფსიხოლოგები უწოდებენ ხოლმე. ყოველი ავათმყოფობა, როგორც ვიცით, ხან შეწყნარდება, შესუსტდება და ხან კი გაძლიერდება და გამძვინვარდება. პირველ შემთხვევაში ავათმყოფი წყნარდება, თავს იმედს აძლევს განკურნებისას, მეორე შემთხვევაში—სიკვდილს ნატრობს, თავის მოკვლა-მოსპობას ცთილობს. რათა ასეთ წამებისაგან თავი გაინთავისუფლოს, მაგრამ ამას ვერ ბედავს. და კვლავ განაგრძობს ბრძოლას.

ასეთია სიცოცხლის საიდუმლოების დაკლეტილი კარების წინ მდგომარე კაცობრიობაც,—სწორეთ ასეთი „ავათმყოფია“ სულითა და გულით, მთელი თვისი არსებით მისი სული ამ წუთში მზის ოქროს სხივებში დაჰქრის—დანავარდობს, მეორე წუთში კი უიმედობა-უსასოების წყვდიადის ჯურღმულში ეშვება...

მაგრამ რამდენათაც დრო თანდათანობით მიმდინარეობს, თუ მეტად არა, იმდენათვე კაცობრიობის მდგომარეობაც უფრო და უფრო მწვავდება. მიტომაც ბრძანებს მოქ. კოწია კაპანელი:

„იდილიური სოფლმხედველობა და სულიერი მყუდროების ტაძარი ირღვევა სოციალ-ისტორიულ რყევასთან ერთად და ცივილიზაციის ქარიშხლიან გაქანებაში ისმის (თუ ისმიან?) ახალი ხმები, იშლებიან ილლიუზიებისა და მარადიული სოფიზმების ახალი მასალები“.

ამ „ახალი მარაოების“ დანახვაზე ბ. კაპანელს სურვილი აღეძვრება სრულიად „ახალი მარაოს“ შესაქმნელათ და კიდეც „ჰქმნის“.

„ჩვენც ფსიქოლოგიურად მსოფლიო იდეოლოგიის მეტამარფოზას ვეთანაბრებით და ჩვენი შემოქმედებითი გამჭრიახობის ფარგლებში ერთგვარ ფილოსოფიურ-ესთეტიურ სისტემას ვიძლევით“.

და განაგრძობს:

„ბიოფსიხიზმი და კოსმიზმი სრული გამოხმაურებაა ჩვენი ფილოსოფიური სოფლმხედველობის: „სულისა“ და „მატერიის“ შორის დამოკიდებულება ისე, როგორც ეს ფილოსოფიურ სისტემებშია გამოხატული, ჩვენთვის ერთგვარი პარალოგიზმია და მთელი ეს წიგნი ამ ისტორიულ-მეშჩანური (თუ წვრილმანური?) პარალოგიზმის უარყოფაა“.*)

კარგი და პატიოსანი. მალა დიადი მოვლენაა, მაგრამ რაკი მადის დაკმაყოფილება ე. ი. „ჭამა ქონებაზე ჰკიდია“—ასე ამბობს ჩვენი ხალხი,—ამიტომაც უნდა ვიკითხოთ, თუ რაში მდგომარეობს ბ. კაპანელის „ბიოფსხიზმი“, როგორც „ისტორიულ-მეშჩანური პარალოგიზმის უარყოფა?“

ის ასე გვიპასუხებს:

„სული და მატერიის მუხვალობის დინამური აორთქლება, მატერია როგორც სტატიური სახე კოსმიური სულიერობის დინამიური დენისა, მორალი როგორც ისტორიული-პლანეტარული განზოგადება ორგანიულ-ტერიტორიული ჩვეულების, ტროპიზმი და სამყარო, როგორც ესთეტიური ფენომენი—აი ჩვენი სოფლმხედველობის points d'èmergence“.**)

მაშასადამე, ჩვენ აქ სულისა და მატერიის ურთი-ერთისადმი დამოკიდებულების, მორალისა და ესთეტიურ ფენომენის პრობლემებზე გვხდება არა ისეთი შეხედულება, როგორიც იდეალისტური მიმართულებებისა საერთო, ან მატერიალისტურისა, ან და დუალისტურისა და გინდ პანტეისტურის, არამედ „ახალი“, „სრულიად ახალი“ რომელსაც მოქ. კაპანელი „ბიოფსიხიზმათა და ბიოკოსმიზმათ“ ნათლავს და რომლითაც დღემდის შეუძლებელს შესაძლებლათ ხდის, თუ მას დავუჯერებთ, რასაკვირველია.

თავის „ბიოფსიხიზმით და ბიოკოსმიზმით“ მოქ. კაპანელმა კალმის ერთი მოსმით მთელი მსოფლიოს პრობლემა „გადაჭრა“ ერთხელ და სამუდამოთ.

ის გადაჭრით ამბობს: „შემთხვევათა დაუსრულებელი დენა არის ის, რასაც ჩვენ ვეძახით წუთისოფელს, სამყაროს, ყოვლობას. ***)

და წუთისოფელი ასე შემთხვევით ყოფილა წარმოშობილი, რაკი „ირაციონალობა ახასიათებს არსებობის ყოველ წუთს და მოძრაობას; ერთეულობის სარბიელს საზღვრავს მრავლობის სტიქიური და განაწილება და ინდივიდუალობის ბედი ირაციონალური ნებისყოფაზეა დამოკიდებული. *).

რა ხრის ირაციონალობა? განუჭვრეტელობა, განუსაზღვრელობა და ჩაუწვდომლობა ამა თუ იმ მოვლენის ძირამდის? აი რა! და ვინაიდან „ირაციონალობა ახასიათებს არსებობის ყოველ წუთს“, და ამ ირაციონალობის ფარდის ახდა-ჩამოგლეჯა არ ძალგვიძს, ნათელია, რომ წუთისოფელს „შემთხვევათა დაუსრულებელი დენას ვერ“ ვუწოდებთ მოქ. კაპანელსავით,—ვერ ვუწოდიბთ, ვამბობთ, რაკი ლოღიკა ამას ნებას ვერ მოგვცემს. ამით ყველს princini ეწოდება ლოღიკაში.

დიახ, მოქ. კაპანელო, ის, რაც შემთხვევითია ირაციონალური არ შეიძლება იყოს და, თუ მოვლენა ირაციონალურათ მიგვაჩნია, მას ვერც ერთი სალი გონების ადამიანი „შემთხვევითათ“ ვერ მონათლავს.

მაგრამ ეს ცოტაა. რაც უფრო და უფრო ღრმათ შეიჭრება მოქ. კაპანელი მეტაფიზიკურ მორევში, იმდენათ უფრო მეტად იხლართება-იბორკება ულოღიკობის ბადეში.

და დაუკვირდით: მოქ. კაპანელს თუ დავუჯერებთ, თურმე წუთისოფლის შვილები, რომელთა უწინარეს ყოვლის სიკვდილის გვეშინან, დღემდის ვერ მიმხვდარვართ, რომ ჩვენი პირადი ცხოვრება არის წარმავალი, რომ ჩვენც ისე მოვკვდებით, როგორც ჩვენი წინაპრებიც, რომ ჩვენც ისე არ ვიცით სიკვდილით თუ რა მოგველის, ვით ეს თვით ძველი ინდოეთის, პოლესტინის, ჩინეთისა და სხვ. ქვეყნების ბრძენთა. ბრძენებშიც არ იცოდენ. და აი მოგვევლინება ისეთი „ჰენიოსი“ მოქ. კაპანელის სახით, რომელმაც, როგორც ერთ დროს ერთხელ და სამუდამოთ დიდმა ერატოფენმა ორი ქალაქის—სუნასა და ალექსანდრიის შუა მდებარე სივრცის და მზის შემწეობით მთელი დედამიწის წრის სიგრძე გაზომა-გამოიანგარიშა, სწორეთ ასე და ამნაირათ, თავისი პირადი განცთა-გამჭრიახობით შემდეგი „აღმოჩენა“ მოახდინა ჩვენს ცხოვრებაში:

„არსებობის ცვალებადობა და სტიქიურობის შეგრძნობა ადამიანში იწვევს კოსმიურ სევდას, რომელიც თავისებურად ახალისებს კაცობრიობის ინტელექტუალურ კულტურას, აღრმავებს განცდას და მთლიან პიროვნებას ისევ ეძახის: Praeter intellugere!

ასე აგვიწერს ჩვენი ავტორი თავის „აღმოჩენას“ და განაგრძობს:

შეიგრძნობს რა ადამიანი თავის ყოფის წარმავლობას, შეიქმნება უფრო გულკეთილი და ნაღდი: ორგანიული წვა კოსმიურად გაშლის ადამიანის სულსა და რაც უფრო ქალაქური, რაც უფრო აჩქოლებული და ათქრიალებული იქნება წუთისოფლური ყოფა, მით უფრო მძლავრი, ტკბილი და ორ-

*) რედაქცია საშუალებას აძლევს ავტორს გამოსთქვას თავის აზრი ამ წიგნზედ, თუმცა არ ეთანხმება მას.

**რედაქცია.**

*) იხ. კოწია კაპანელის: „სული და იდეა“ გვ. 9.

**) იქვე, გვ. 10.

***) იქვე—გვ. 10.

*) იქვე გვ. 10,

...უდგინოს პრეზიდიუმს გეგმა თუ რა საშუალე-
...და რა წესით უნდა იქნას დაკმაყოფილებუ-
...მების აღმასკომების ხარჯები.

— **საქონლის მანეთის კურსი.** თანახმად ამი-
...კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგე-
...ით 17 მაისიდან № 52 და შრომის კომისრი-
... მაისიდან, საქონლის მანეთი ღირს ორი
...ნი ორმოცი ათასი მანითი ამიერ კავკასიის
...

— **შრომის ბირჟაში.** 26 მაისს უმუშევარნი
...ლარ გამოცხადებულან. ახლად ჩაეწერა 54
...არი. მამაკაცი 28, ქალი 26. მოთხოვნილება
...2. გაიგზავნა სამუშაოსე 50: ქალი 34, კაცი
...ეტი.

— **პატიმრების სურსათ-სანოვაგით დაკმაყო-...ბა.** ტფილისის აღმასკომმა დაადგინა მილი-
... მყოფი პატიმრები სურსათ-სანოვაგით დაკმა-
...ებულ იქნას აღმასკომის ხარჯზე, წინადადე-
...ეს სამმართველოს განყოფილებას წარმოად-
... ხარჯთ-აღრიცხვა და გამოითხოვოს საჭირო
...

— **საშემოსავლო გადასახადების და ჯამა-...ბის შესახებ.** მანგლისის რაიონის გლეხებზე
...ნილ 1921 წლის საშემოსავლო გადასახადების
...ამნგირების შესახებ ტფილისის აღმასკომმა გა-
...ანა შემდეგი განაჩენი: „ვინაიდან აღნიშნული
...ახადების ნაურავები იმდენად გაზრდილია,
...ღარიბ გლეხობას მძიმე ულლათ აქვს დაწოლი-
...ა ყოვლათ შეუძლებელი ხდება მისი შეკრება;
...ვე არის გადამხდელთა შორის ისეთი პირები
...ებიც უკვე ცოცხლები აღარ არიან, აღძრან
...დგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინა-
...ათა აღნიშნული გადასახდები მოხსნილ იქ-
...

— **ინვალიდების კვირეული.** ინვალიდების
...ეულის მომწყობი კომისია წინადადებას იძლე-
...ელა პირთ და ორგანიზაციებს, რომელნიც
...წილეობას ღებულობდნენ შემოწირილებათა
...როვებაში, შემოიტანონ ფული და ანგარიშები
...წორონ ორი დღის განმავლობაში.

— **ბირჟა.** ოფიციალური კურსი 29 მაისისა:
...თა ნიშნები—19,000; ჩერნოვეცი—11,150,000
... გირვანქა სტერლინგი ეფექტივი—14,700,000
... ჩეკი—12,650,000 მან., დოლარი ეფექტივი—
...0,000 მან., ჩეკი—3,000,000 მან., ოსმალური
...ლდის ლირა—2.025,000 მან., ფრანკი—185
...ი, იტალიური ლირა—125 ათასი, 96 პრობისა
...ის ნაჭერი—მისხალი ჩერვონცების კურსზე—
...4, 56 პრობისა—0,297.

## ილია ნაკაშიძეს

ეს იყო წინათ, ეს იყო უწინ:
თქვენ დადიოდით ვით განდეგილი;
როს შეაერთეთ ბავშვი, მოხუცი,
და გრძნობა გულში გადანერგილი.

მზე ესალმება სულს გადახეულს,
შენ მწუხარება ბევრი დასტოვე
დღეს ესიზმრება გაყინულ სხეულს;—
ევროპა, ცეცხლი და ლევ ტალსტოი.

შენ ღვრიდი ნაღველს მწვანე მდელოზე,
მიწა კი იყო დაუკარველი.
შენ შეეჯიბრე ბევრ ანგელოსებს
და იყავ ბევრის მამა მფარველი.

სულში გენია მყობადს უცდიდა;
შენ ბევრი ღამე დაჰყავ წვალებით.
დღეს მეტეორი ჩამოწყდა ციდან
და გვტოვებ ჩუმი გარდაცვალებით.

უკანასკნელად შენ თვალებ ღია
უხმობდი ნუგეშს სულის სიწყნარეს.
მაგრამ სიცოცხლემ გადაიხია
და დარჩა ხსოვნა დაუვიწყარის.

მზეს მოგაშორებს შავი აკლდამა,
ცრემლებს წაიღებს ბტკვარი ქარებით;
მარტოკა სახელს გვიტოვებთ, მამავ,
ჩვენც გულს ვაბარებთ მას მწუხარებით.

**პიერ კობახიძე.**

ვერცხლის ნაჭერი 84 პრობისა მისხალი—0,01155;

ვერცხლის მანეთიანი—0,0742 მ.

— **საქონლის ბირჟის განყოფილების ცნობა.** 29 მაისს ბირჟის მდგომარეობა უცვლელია.

— **წინადადება იყო შემოხული:** სკიპიდარის, ნებოსი, ქვის მარილის, ლურსმის, სპილენძის, ცხვრის წელების, ასანთის, შაქრის ფხვნილისა, ქალალდის მანუფაქტურისა, ჩაის „ვერმეს“ და ინგლისის ფირმისა, საავტომობილო ნაწილებისა, სოდისა, ნარზანის ბოთლების, ჰიქების და თეფშების, რკინეულობის ალავერდის ზავოდისა, ქბილის 1, 2, 3 და 4 სორტისა, ვერმიშელის, მაკარონის და სხ. თუშურ მატყლისა და სხვა.

— **მოთხოვნილება იყო.** ფეხსაცმელის, წამოსასხამის ბრეზენტისა, სალომასი, ცხვრის წელებისა, ლიმონის სიმჟავისა, სასოფლო-სამეურნეო იარაღისა, სოხუმის და ლაგოდეხის თამბაქოსი, ლურსმებისა, მატყლისა, პირველ ხარისხის ფქვილისა, პარაფინისა, ნაფთალინისა და სხვ.

## ილიკო ნაკაშიძე.

(ტრაური)

ფერგადასული ზამთარი. ოთხი კედელი მოჩუქურთმული ჩვენი ლანდებით და ძვირფას ილიკოს ჩვეულებრივი მოწყვეტილი ხით-ხითი. „ლიგა“ მაგიდის გარშემო და ჩვენს შორის, ყოველთვის თავაზიანი, კეთილშობილი, მომღიმარი ილიკო.

თამბაქოს კვამლში ეხვევა მისი სერიოზული სახე და მასთან თბილი საუბარი ძვირფას ლეგენდათ ცნაურდება.

სალამო. აქედან დაიწყო ჩვენი ინტიმობა.

კედლებმა აირეკა გულის სითბო და ეხლა პანთეონში, დედის სიფრთხილით გააცილებს მის კუბოს.

„...მზე... ზღვა... თამაში... სამხრეთი“...

ჰკითხულობდა იგი და „დიდი სიწყნარე“, რომელიც მას ასე ... ახასიათებდა, იღვრებოდა, იშლებოდა გარშემო უჩვეულო ფიმიამად და ავსებდა ოთახს, ჩვენს ახალგაზრდულ სულის თქმას.

ყოველთვის სათნო, კეთილი და სპეტაკი ეს ჭეშმარიტად დიდი ადამიანი, ახალგაზრდებთან ჰპოვებდა სულის სიმშვიდეს და თავის ნაფიქრსა და ნააზრევს დიდი სიყვარულით გვიზიარებდა.

ჩვენს ინტიმიურ ჯგუფში ხშირად იტყოდა: „დიდებმა ვერ შემიგუეს, ვერ დამაფასეს, დასვენებას და შეიძლება ბრძოლის უნარს თქვენთან ახალგაზრდებთან ვპოვებ“-ო და მისი თვალები „გამოცანის“ ახსნას ჩვენსავ თვალებში ეძიებდა.

ყოველიგვარ ახალი აზრის გაელვება, მის მხრით იწვევდა საშინელ ცნობის-მოყვარეობას და იგი კიდევაც დიდი სიყვარულით და ამაგით ეპყრობოდა მას.

წარსულმა ბევრი წარმტაცი, თბილი ზღაპარი იცის...

მოვარდა რაღაც უცნაური, საშინელი გარდაცვალება და ეს სათნოებით, მაგალი ნიჭით სავსე ადამიანი, ცივ და უძრავ, ... გარდაცვალა.

„ცხოვრება... მზე... ზღვა თამაში“...—სწყდება აქ და ადამიანი ამ სფინქსთან ჩერდება საუკუნოებით.

იწყება მესსა საშინელ ცნობის-მოყვარეობის ქსელში გახვეული და ადამიანი სიკვდილისადმი შიშის მიზეზად ხდება ის საშინელი ცნობის-მოყვარეობა, რომელსაც გარდაცვალების ფენომენი ზღვარს უდებს...

შენ წახველი ძვირფასო ადამიანო!

დარჩება შენზე უტკბესი და უთბილესი ხსოვნა და სახელი შენი უინტიმებს ლეგენდას შეჰქმნის ჩვენს პატარა ჯგუფში.

ხშირად გიყვარდა ბაასი ნირვანაზე; აღმოსავლეთი მეტყველებდა შენით; შენი სახეც ნირვანა იყო და ჩვენც გვრწამს, რომ შენი სული ნირვანას გარდაეცვალა.

იქნები ბრწყინვალეთ ჩვენს ხსოვნაში და იმავე დროს სათნოების სიმბოლო; ჩვენთან ცეცხლის პოეტებთან იყავი **პოეტი-ქრისტიანი.**

როგორც პატარა სიტყვა ღმერთი შეიცავს დიდს შინაარს, ისე იტევდი გულში დიდ სიყვარულს, რომლის ცოცხალი აპოლოგია იყავი შენ.

შენი პოეზია და კრიტერი, რომლითაც მსოფლიოს უდგებოდი, იყო **სიყვარული** და ჩვენც გვრწამს, რომ ეს სიყვარული ჩვენთან ერთად მთელმა ქართველმა ერმა გაიზიარა.

ამინ.

უკანასკნელი ღიმილი აჩუქე მოღლილ დედამიწას

მშვიდობით **პოეტო-ქრისტიანო!..**

**შოთა დუმბაძე.**

## სხვა და სხვა

— **დიპლომატიური კონფლიქტი.** ვერსალის ზავის შემდეგ გერმანიას მრავალი დიპლომატიური კონფლიქტი ქონდა, მაგრამ ისეთი ორიგინალური რომელიც ამ უკანასკნელათ იყო ჯერ-ჯერობით არ ყოფილა. საქმე იმაშია, რომ ფრიად გავრცელებულმა საილიუსტრაციო გამოცემამ „ბერლინერ ილიუსტრირტე“-მ, პირველ გვერდზე მოათავსა პორტრეტი მსხვილ, კბილებ დაღრჭენილ ნეგრისა სრულ საპარადო ფორმაში; სურათის ქვეშ ახსნილი იყო, რომ ეს არის პორტრეტი აფრიკის ნეგრიული რესპუბლიკის ლიბერიის პრეზიდენტისა, რომელიც ამ ჟამათ ნიუ-იორკში იმყოფება იმისათვის, რომ იქ კომპანია გასწიოს ნეგრების თავის სამშობლოში დასაბრუნებლად. ბერლინელები სიცილით შეხვდენ იმპოზანტურ ნეგრს და მალე დაწყნარდენ. მაგრამ სასაცილოთ არ ეცალა გარეშე საქმეთა სამინისტროს; მეორე დღეს გამოცხადდა ნეგრიული რესპუბლიკის ბერლინის დიპლომატიური წარმომადგენელი და მკაცრი პროტესტი განაცხადა. აღმოჩნდა რომ ილუსტრაციან ჟურნალის რედაქცია შეცდო-

...ული გახდება ადამიანში წყურვილი მარადობი-...ა მშვენიერების კოსმიზმი.*)

ამნაირათ, ამ ორი ამონაწერიდან ნათლათ ...ავთ, რომ მოქ. კაპანელის ღრმა რწმენით ჯერ ...—ადამიანში თურმე მსოფლიო სევდას შობს ...სიკვდილი, რომელის შიშით სიცოცხლე შეუწ-...ლათ ანგრევს და აშენებს, აშენებს და ანგ-..., არამედ მხოლოდ და მხოლოდ „არსებობის ...ებადობა და სტიქიურობის შეგრძნობა“! ეს კი ... შეცდომაა ჩვენი ავტორის. დიდი შეცდომაა, ...დან ადამიანის სიცოცხლის ერთათ-ერთი ის ...ენაა, რომლის ერთ მხარეზე აწერია ცვალება-... და მეორეზე კი სტიქიურობა. აი ეს მოვლენა ...იანში იბრძვის სიცოცხლის მარადისობისათვის, ...ახ, იბრძვის და ებრძვის იმავე ადამიანში მე-... მოვლენას, რომელიც არც ცვალებადობას გა-...ის, არც სტიქიურობას, მარად ერთფეროა,— ... სახელი—სიკვდილია, გაქრობა, არ ყოფნის არ...ათ შეცვლა. მაშასადამე სიცოცხლე სტიქიუ-... და ცვალებადობაა, სიკვდილი კი ერთფეროვ-... და უცვლელობა. სწორეთ მიტომაც პირველი ...იანში იწვევს მარადიულ მზიურობასა და მსოფ-... მშვენიერების მიღწევის დაუძლეველი (სიკვდი-...ის, რასაკვირველია) ლტოლვა-სურვილს, მეო-...მსოფლიო მწუხარებას, მოთქმა-გოდება-უსასო-...—მოკლეთ: მსოფლიო სევდას.

მაგრამ ყოველივე ეს ყველასთვის ადვილათ ... კაპანელის „შემოქმედებითი გამჭრიახობის ...გლებში“ ვერ შეჭრილა, მას წალმა უკუღმათ ...ვენებია, უკუღმა—წალმათ—და მიტომაც გა-...ძობს თავის მიერ აღმოჩენილ „ჭეშმარიტება-...მსჯელობას.

„ჩვენს ყოველდღიურ ყოფას რომ ჩამოვაშო-... ისტორიულ ტრადიციული მორალი და მისი ...გორიები, კუთხურ ჩვეულებათა ნაოჭებში, ჩვენ ... ყოველ სალამოს ვგრძნობდეთ, თუ როგორ აჩ-...ებით, სიზმარეულად, ჭურდულად გაივლიან ...ნი, როგორ ველურად, შმაგათ, ატორტმანებით ...ძირებით არარაობისა და რღვევის უფსკრულ-... და მთელი ჩვენი ნერვიული ღელვიდან დარჩე-... მხოლოდ ერთი მუჭალა მტვერი, რომელსაც გაა-...ებს წუთი სოფლის ქარიშხალი, ჩვენ გაცილე-... უფრო ბედნიერი და გულკეთილი ვიქნებო-..., უფრო ხშირათ აგვიჩუყდებოდა სიყვარულით ... ამ უთავბოლო და მუდამ მოუწყობელ არ-...ბაში“. **)

ასე ბრძანებს ჩვენი ავტორი და ღრმათაა ...წმუნებული, რომ ადამიანებს თითქო სიკვდი-...არ ახსოვთ, რომ ჩვენ ვერ ვამჩნევთ, თუ რო-...ის სისწრაფით მირბიან დღენი და წელნი ჩვე-...არსებობისა, რომ ჩვენ სევდით კი არა, შეუწ-...ელ-შეუსუსტებული აღფრთოვანებით ვიმღერით

*) იქვე გვ. 10.
**) იქვე—გვ. 11.

„სწრაფია ვით ტალღა, ცხოვრების დღენი“ და სხვ. ამიტომაც მოქალაქე კაპანელი რიხით განაგრძობს:

„მოვლენები და საგნები დროული, ღრეკილი და ხრწნადი ფორმებია მარადიულად უცვლელი ცვალებადობის; სული ყოვლობის ნივთიერების შინაგანი რყევის დინამიური აორთქლებაა; იდეები ორგანიულ ღელვათა თვითმჭვრეტი ასხივოსნებაა და არსებობის ყოველი წუთი შემთხვევათა გაურკვეველი და უსაზღვრო დენაა; ჩვენი წუთისოფლური ტანჯვა და ყოფა ბოლოს და ბოლოს მხოლოდ თქმა და ზღაპარია,—ისტორია ლეგენდაა; ერები და ქალაქები, ცივილიზაცია და კულტურა, ორგანიული ფორმები, საუკუნოების ღრეკანი და კაცობრიობის განგაში მარადიული ლანდების კოშმარული დემონსტრაციაა, დაუსრულებელი და უთავბოლო კადრილია“. *)

ამნაირათ, მოქ. კაპანელის აზრით, არაფერი არ არსებობს, გარდა „უცვლელი ცვალებადობისა, რომელიც „ვანკა-კსტანკასა“, თუ თვით ჩვენი ავტორის „ლოღიკასავით“ მარად იცვლება, მაგრამ მასადვე უცვლელად რჩება, წაიქცევა და მყისვე ფეხზე დგება, კვდება და მკვრეთით სდგება. არ არის არც სული. როგორც მატერიისგან განსხვავებული ელემენტი, ის წარმოადგენს, არც მეტსა და არც ნაკლებს, მხოლოდ „ყოვლობის ნივთიერების შინაგანი რყევის დინამიურ-აორთქლებას“. ამიტომაც ჩვენი ამ ქვეყნიური ცხოვრება „თქმა და ზღაპარია“ თუმცა „ისტორია ლეგენდა ყოფილა“ თურმე! მიტომაც ბატონი კაპანელი გადაჭრით ამბობს:

„ჭია-ბუჭეებიდან შეიქმნა ძე ადამიანისა; ჭიაბუჭეებად დაიშლება იგივე ძე და უცვლელ ცვალებადობაში ვერასოდეს ველარ განმეორდება მთლიანი იგივეობით. მხოლო დაშლილი უჯრედები მარადიულ ხეტიალში ერთმანეთს ველარ შეიცნობენ და ჩვენი მე დაფლეთილი, ჩვენი სული დასრესილი უსახო ყოვლობაში დაიბნევიან“.

ამიტომაც ყველაფერი ზღაპარია, ყველაფერი ამაოებაა. ერთის მხრივ სიკვდილი გვსპობს, მეორე მხრივ კი ერთი-მეორის გაუგებრობა, ერთმანეთისადმი სიძულვილი და გაუგებრობა არსებობაო „სამყაროს ერთ კუთხეში რაც ჭეშმარიტებაა, მეორე კუთხეში ის სიყალბეა“. ამბობს ის და ასურათებს: „გოტენტოტისათვის რაც წმინდა და ღვთაებრივია, ის ჩვენთვის საზიზღარი და სასაცილოა“. **)

ამ მიზეზით „ჭეშმარიტება ორგანიულ ფსიქიური ჩვეულების დროული, წარმავალი, ტემპერამენტული ფორმაა და sul specie aeternita tis ყველაფერი ლეგენდა სოფიზმია“.

ასე ადასტურებს ჩვენი ავტორი თავის შეხედულებას. ასე „სპობს“ ყოველივეს, „ანადგურებს“

*) იქვე—გვ. 11.
**) იქვე-გვ. 12

და ერთი წუთითაც არ სურს ისეთ მოვლენებზე დაფიქრება, რომლებიც ამარადისებენ წუთისოფლის უცვლელ ცვალებადობას და რომელთაც ცხოვრების შვილნი ვეძახით: სიცოცხლეს, სიყვარულს და სიკვდილს. რას წარმოადგენს ეს სამი მოვლენა? მოკლეთ-ჭეშმარიტებას! სხვა სიტყვებით, ეს მოვლენები წუთისოფლად შეადგენენ იმ სამპიროვან ღმერთს, რომლისოდაც კაცობრიობას ერთი წუთითაც არ შეუძლია არსებობა.

ეს სამი მოვლენა ერთსა და იმავე დროს სამიცა და ერთიც. სიცოცხლისთვის სიყვარული ფარი და ხმალია, სიკვდილი-ცელი. ამიტომაც სიყვარული ძლიერია სიკვდილზე,-ძლიერია, ვამბობთ, რადგან სიკვდილს ცელთან ერთათ ფარი არ აქვს. ამ მიზეზით მარად ყოველთვის ბევრი იბადება და ცოტა, შედარებით ძლიერ ცოტა კვდება, თუმცა ბოლოს და ბოლოს ვინც კი დაიბადება, ის უეჭველათ მოკვდება.

მაგრამ ამ მოვლენას გაცილებით უფრო ღრმათ უნდა დაუკვირდეთ. ცხოვრებას როგორც უცვლელი ცვალებადობას, თუ წავართმევთ სიყვარულს, იგივე მოელის, რაც მას დაეპატრონება სიკვდილისგან მისი განთავისუფლება რომ შევსძლოთ. დიახ, უსიყვარულოთ სიცოცხლე და წითისოფლის არსებობა ისევე შეუძლებელია, როგორც უსიკვდილოთაც. მართლაც და, პოეტის სიტყვების არ იყოს.

ვინ ინატრებს მზისა სხივებს,
რა მზის ჭვრეტა მობეზრდება!..

მაშასადამე, ცხოვრებას, წუთისოფელს თუ ამ ქვეყნიურ უცვლელ-ცვალებადობას ამაგრებს—ამარადისებს ერთი ძალა სამი სახით: სიცოცხლე როგორც პიროვნება, სიყვარული—როგორც შემოქმედება და სიკვდილი—როგორც განმწმედი ცეცხლი. ამ სამ სახეს, ამ სამ მოვლენას ცხოვრებისას რომელიც არ უნდა გამოაკლოთ, დანარჩენი ორი მყისვე მოკვდება. მაგრამ მათში მაინც განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს სიყვარულს. თუ ანალიზს გავუკეთებთ სიყვარულში სამ ძალას აღმოვაჩენთ: ეროტიულს, რელიგიურს და სოციალურს. ეროტიული სიყვარული აპიროვნებს ყოველ ადამიანს, ვისაც კი სიყვარულის გრძნობის გაშლა მხოლოდ მღელვარე სისხლის დამაწყნარებელ საშუალებად არ მიაჩნია, სხვა სიტყვებით, ვისაც თავისი თავი დეზებიან მამლათ არ მიაჩნია და ცოლი კი—მარტოთ-მარტო დედათ. რელიგიური სიყვარულის ადამიანი იმ სამეფოში შეყავს იდეურათ, სადაც მარადისობის ჰანგები არას დროს არ შეწყდებიან;—მოკლეთ—„რელიგია ეს მშობლიური გრძნობაა დაუსრულებლობაში“ და მეტი არაფერი. სოციალური სიყვარულით კი ადამიანი ეროტიული გრძნობითა და სატრფოს ეშხით გაძლიერებულ მადის დაკმაყოფილებისთვის ყოველივე ტანჯვა-წამებას ადვილად აიტანს და ვინც პიროვნებაა. ვინც ღირსეულად ატარებს ბუნების გვირგვინს—ადამიანის სახელს, ის ამ სამპიროვან სიყვარულის

ცეცხლის ალათ აიგუზგუზებს სულსა და გულში და ადრე თუ გვიან, გმირისა და ზეკაცის გვირგვინს დაიდგამს თავზე ისე, როგორც ეს შესძლეს ალექსანდრე მაკედონელმა, ნაპოლეონ ბონაპარტემ, გოეთემ, შოთა რუსთაველმა, ვლ. ლენინმა და სხვ. დიახ, გმირთა და ზეკაცთა გვირგვინები უჭრდილო მზის სხივებზე გაშლილი მარადისობის სუნნელოვან ყვავილებისაგანაა შეკრული!

ეს რომ ასე გახლავს, სხვათა შორის, ამას ჩვენი „პესიმისტი“-ჰარტმანისტი მოქ. კაპანელიც მორცხვად ბრძანებს:

„თუ რამე არის საყურადღებო წუთისოფლად ეს არის გმირთა მარტო ძახილი, საუკუნეთა გრდემლებზე ამეტყველებული!“ *).

ეს სიტყვები ნათლად ამტკიცებს, რომ მოქ. კაპანელი იმდენათ „პესიმისტია“, რამდენადაც მას გმირისა და დიდი კაცის სახელის მოხვეჭა არ ძალუძს. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. გმირებისადმი ასეთი ყურადღების მიპყრობით, ის ხელის ერთი მოქნევით სპობს ყველაფერ იმას, რაც აქამდის ანგრია და აშენა.

და დაუკვირდით. გმირები თუ კი ასე საყურადღებონი არიან ამ სოფლად, მაშ ჩვენი ცხოვრების დანიშნულება გინდ მარტოთ-მარტო გმირობაშიც რომ მდგომარეობდეს,—ამითაც დიადი, აზრიანი და მომხიბვლელი იქნება და ეს სხვანაირათ არც შეიძლება იყოს! გმირი ეს ხომ მეომარია და მეომარი კი ცხოვრების ღირებულების დაფასება-გარდაფასებას ყველა მეცნიერებსა და პუბლიცისტებზე უფრო მეტად ახდენს.

გმირი მეომარი და დიდი ნიჭის ჰენიოსი პოეტი იგივეობაა ცხოვრების გარდაქმნის პროცესში. სხვა სიტყვებით, ჰენიოსის პოეტი აზრით მეომარია, გმირი მეომარი—მოქმედებით პოეტია. ამნაირათ, პოეტი მეომარია, მეომარი—პოეტია.

აქედან შემდეგი ლოღიკური დასკვნა გამოდის: გმირნი—მეომრები და ჰენიოსი პოეტები არ კვდებიან სულით, განცდითა და შემოქმედებით. და რაკი ეს ასეა, ამით მოქ. კაპანელის შეხედულება წუთისოფელსა და ისტორიაზე, როგორც „ზღაპარსა“ და „ლეგენდაზე ისე ყალბი და უსაფუძვლოა, როგორც შემდეგი მისი დასკვნაც: „სამყაროს დაუსრულებლობაში ლოგიური თვალთახედვით ნაპოლეონი იგივეა, რაც ტასმანიის ბეღურა, კანტი იგივეა, რაც ცეილონის კენგურუო“!

„ნეტარნი არიან მორწმუნენი!“

**გიზიკო ალიანი.**

(გაგრძელება იქნება)

*) იქვე—გვ. 110.

მაში ყოფილიყო შეყვანილი. ნეგრის პორტრეტი წარმოადგენდა არა ლიბერიის რესპუბლიკის პრეზიდენტს, არამედ ვინმე კინეს. ნეგრიტიანელ „მოციქულს“, რომელიც აფრიკაში თავის „სამეფოს“ აწყობს დიპლომატიური წარმომადგენლის პროტესტს შეუერთდენ მსხვილი გერმანული ფირმების წარმომადგენელნიც, რომლებიც ლიბერიასთან ვაჭრობენ. საგარეო საქმეთა სამინისტრო იძულებული გახდა შედგომოდა ამ „დიპლომატიურ“ კონფლიქტის ლიკვიდაციას. ილიუსტრაციან ჟურნალის რედაქციამ ბოდიში მოიხადა აფრიკის რესპუბლიკის წინაშე და აცნობა მას, რომ პორტრეტი მან მიიღო ამერიკულ ბიუროდან და ზედ წარწერა იმდენათ გაურკვეველი იყო, რომ საჭირო გახდა ექსპერტიზა მცოდნე პირთა, რომლებმაც „იცნეს“ რესპუბლიკის „ლიბერიის“ პრეზიდენტი.

— **მოძრაობა იმმიგრაციის წინააღმდეგ ამერიკაში.** ამერიკის რეაქციონერული პროფესიონალური ორგანიზაციები სამუელ გომპერსის მეთაურობით, ამ ჟამათ ენერგიულ კამპანიას ეწევიან იმმიგრაციის წინააღმდეგ და სურთ არა მარტო კონტინენტის შემცირება, არამედ სრულად აკრძალვა ამერიკაში შესვლისა ევროპის ქვეყნებიდან. სამუელ გომპერსმა წინადადება მისცა ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს ამოერჩიათ განსაკუთრებული დელეგაცია, რომელმაც მისი ხელმძღვანელობით თავისი შეხედულებანი უკვე წარუდგინა შრომის დეპარტამენტს. გამპერსმა მიუთითა მასზე, რომ იმმიგრანტები ავიწროებენ ამერიკელ მუშებს, იწვევენ სამუშაო ხელფასის შემცირებას და ხელს უშლიან ამერიკის პროფესიონალური მოძრაობის განვითარების წესიერ მსვლელობას. ამერიკის იმმიგრაციის საქმეების შესახებ შემდგარ კონგრესის კომისიის თავმჯდომარემ ჯონსონმა ენერგიულად დაუჭირა მხარი გამპერსის მოტივებს; მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მუშების წინაშე იმ გარემოებას, რომ იმმიგრაციის შემცირება ავტომატიურად ასწევს სამუშაო ხელფასს. ამას გარდა, მუშათა კლასის ინტერესების ამ მოულოდნელმა დამცველმა მიუთითა მასზე, რომ ტეხნიკა ამერიკაში განვითარდა მუშა ხელის ნაკლებობის გამო ამიტომ იმმიგრაცია არის მასში დამნაშავე, რომ ეს განვითარება ტეხნიკისა და მანქანების მშენებლობის უკანასკნელ ხანებში შემცირდა. პარალელურად გამპერსის კამპანიისა იმმიგრაციის წინააღმდეგ, მსგავსივე კამპანია სწარმოებს. სავაჭრო პალატებისა და სხვა სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციების მხრით. ამ ორგანიზაციებმა შექმნეს თავიანთი განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უკვე გამოაქვეყნა დაწვრილებითი ანგარიში. ეს ანგარიში ბრალს სდებს იმმიგრანტებს თანამედროვე ამერიკის თითქმის ყველა სოციალურ განწყობილებისათვის, ამათ რიცხვშია—დამნაშავეობის ზრდა, კომუნისტური აგიტაციის ზრდა და სხ.

— **საამშენებლო მუშაობა გერმანიაში 1922 წელს.** გერმანიის სტატისტიკურ დეპარტამენტის ახლად გამოქვეყნებული ცნობები საამშენებლო საქმიანობის შესახებ 1922 წ., მეტად საინტერესო არის როგორც მასალა, საქმის მდგომარეობის გასაშუქებლად. ეს ცნობები შეეხება 35 მსხვილ ქალაქს, რომელნიც ყველაზე უფრო მეტად მწვავეთ განიცდიან ბუნების საჭიროებას. სულ ამ ქალაქებში აშენებული იქნა 23,540 ახალი ბინა და 7,715 ახალი სახლი. ეს შეადგენს ბინების—10,7 პროც. მეტს და სახლების—1,4 პროც. მეტს, ვიდრე აშენებულ იქმნა 1921 წელს. მიუხედავად მშენებლობის ასეთი ზრდისა, არსებული მდგომარეობა მაინც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას და ოდნავაც ვერ ამსუბუქებს ბინების სივიწროვის სიმწვავეს. 1922 წ. მრავალ სახლებს დაემატა ზედა სართულები. ამას გარდა, განსაკუთრებით გაძლიერდა კერძო პირთა მიერ სახლების შენება.

## ყურმოკრული მონოლოგი

„როდესაც შეჭმული მურაბა, გატეხილი თევში ან სხვა რაიმე ბავშური სიცელქით გამოწვეულ უსიამოვნებაზე მშობლები ღრიალს მორთავენ, დიდი გულთმისანი თუ არ არიან, გაუჭირდებათ დამნაშავის აღმოჩენა: მტყუანი და მართალი ერთნაირად ფიცავს თავის სიმართლეზე. რატომ? ეშინიათ წკრომის, მუჯლუგუნის და სხვა ამგვარი უსიამოვნების; ბავშებიც არ ამბობენ სიმართლეს. როდესაც სკოლაში ერთის ან რამდენიმე მოწაფის „დანაშაულობა“ გამომჟღავნდება და მასწავლებელი დამნაშავის ძებნას დაიწყებს, ყველა წმინდანები ჩამოყვანილია ციდან იცოდეთ და მოწაფეებიც უარს ამბობენ თავის დანაშაულობაზე. რატომ? ეშინიათ სკოლიდან დათხოვის, საყვედურის, სასჯელის და ვერ ამბობენ სიმართლეს. ასეა ჯერჯერობით დღევანდელ ოჯახში, სკოლაში, სამსახურში, ვაჭრობაში, საზოგადოებრივ ურთიერთობაში, დიპლომატიურ მოლაპარაკებაში და ხშირად ახლად შეყვარებულებშიდაც. ზოგი სტყუის შიშით, ზოგი სარგებლობისათვის და ზოგიც ხანმოკლე სიამოვნებისათვის. ოხ, ვინც ეს სიცრუე გამოიგონა! ამბობენ სიკვდილი კარგი გამოგონებააო: მეც მოვუწერე ორივე ხელი ამის მთქმელს; მაგრამ ვინც ეს სიცრუე გამოიგონა?!... გაგონილა ბატონო! წელიწადი და თორმეტი თვეა, რაც საწყალი ბიჭი შრომის ბირჟაში ჩაეწერა, ეუბნებიან: დღეს, ხვალ, დღეს, ხვალ და ამ დღე-ხვალიობაში თორმეტი წყვილი ფეხსაცმელი ზე მიაგლიჯა და დღესაც უადგილოთაა. ვითომ მე რომ სამსახურში ვარ, ჩემი საქმე უკეთესათაა თუ? ორშაბათს რომ ჯამაგირი დაგვპირდნენ, დღე-ხვალიობით შაბათამდე მოგვიყვანეს და ჯამაგირი არც დღესაა მიღებული. ქრისტიანებო! (ღმერთები ავაფეთქეთ, თორემ ქრისტიანები ხომ დავრჩით) მთავრობის მოსამსახურეებს არც ჩვენი ეშინიათ და არც სიცრუის თქმით სარგებლობას არ ელიან. მაშ რატომ ხდება აგრე? ოხ, ვინც ეს სიცრუე გამოიგონა! არა, მოტყუება და სიცრუე შენ ის მითხარ!!. მაგრამ ამ დროს თავის თავთან მოსაუბრე მოქალაქემ მიიხედ-მოიხედა, შეამჩნია გაკვირვებით რომ ვუცქერდი მას; ჩემს დანახვაზე ჩაახველა, გაიარ-გამოიარა და სადღაც მიიმალა. მე კი დავრჩი ერთ ადგილას განუძრევლათ და ვფიქრობდი: სიმართლეს ამბობს? უცბად გამახსენდა რომ ის ჩემი უცნობი თავის თავს ელაპარაკება და როდესაც თავის თავს ელაპარაკება ადამიანი, ის ყოველთვის გულწრფელად და სიმართლით ლაპარაკობს, ამიტომ მეც შესაფერი დასკვნა გამოვიყვანე.

ton.

## კორესპონდენცია

### წერილი ზუგდიდიდან

ქ. ზუგდიდი და მისი მიდამოები, როგორც შავი ზღვის ნაპირებზე მდებარე ვაკე და დაბლობი ადგილები, საკმაოდ ჭაობიანია. ჰაერშიდაც ჭარბად არის სინესტე. ეს-კი ხელს უწყობს გამუდმებულ ციებ-ცხელებას-მალიარიას და მის შედეგად სნეულებათა გავრცელებას, როგორც მაგალითად სისხლნაკლებლობას, ფილტვების სნეულებას, კუჭისა და სხვა მრავალ ავადმყოფობებს.

განსაკუთრებით ფილტვების ავადმყოფობა ამ ბოლო დროს პირდაპირ ეპიდემიურ ხასიათს იღებს.

დადგა გაზაფხული და ჭლექით სიკვდილიც გახშირდა, ზოგჯერ დღეში 3—4 შემთხვევაა.

ადგილობრივმა ჯანმრთელობის განყოფილებამ აქ თვისი მისია შეასრულა იმითი, რომ მოაწყო საჯარო სახალხო რეფერატები, სადაც განუმარტეს ხალხს მალიარიის გავრცელების მიზეზები, მისი შედეგები და გააცნეს მასთან ბრძოლის საშვალებანი. აგრეთვე გააკრეს ქუჩებსა და დაწესებულებებში მოწოდებანი ჰიგიენურ პირობათა დასაცავად.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ სიტყვაა, სიტყვა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, ვინაიდან ჩვენი უკულტურო მშრომელი მასსა უძლურია იმ პირობათა დასაცავად, რომელსაც ჰიგიენა მოითხოვს. ერთი-ორი რეფერატით კი არა, მხოლოდ სისტემატიური და რაციონალური აღზრდის საშვალებითაა ეს შესაძლებელი.

ხოლო განცხადებებმა,-კოლოებიდან თავის დასაცავად ხელთათმანების ტარების და საწოლებზე ბადე-ქსელთა მანტიების გადაფარების შესახებ, მხოლოდ მწარე ღიმილი გამოიწვია იმ მშრომელ მასსაში, რომელნიც დღეს ხელთათმანებზე-კი არა, მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, თუ რითი და როგორ შეიმოსონ ტანი, როცა ფუთი სიმინდი ღირს 150 ათას მანეთად, ხოლო ალაბი ჩითი მილიონად.

დიახ, ყოველივე ამისათვის საჭიროა უფრო რამ რეალური. თვითონ მთავრობამ, ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს სასწრაფო და რადიკალური ზომები ამ მოვლენასთან საბრძოლველად, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი უბედურება და იქნებ სრულიად გადაშენებაც მოელის ადგილობრივ მცხოვრებთ.

ამ ჟამად სამაზრო მთავრობის განკარგულებით ხდება ქალაქის ქუჩების შეკეთება ქვა-ქვიშის მოყრით. ცხადია რომ ეგეც საჭიროა, მაგრამ ეს მხოლოდ ფუფუნების საგნად მოგეჩვენებათ, ან მნახველის თვალის მოსატყუებელ შირმად, როდესაც-გასცდებით თუ-არა ქალაქის ცენტრს, გარშემო დაინახავთ გველ-ბაყაყთა საბუდრად ქცეულს ჭაობებს და დამპალი წყლების გუბეებს, რომელთაც საშინელი შმორის სუნი ასდის და წამლავს ჰაერს.

შეუგნები მცხოვრებნიც, იმის ნაცვლად, რომ ზომები მიიღონ იმათ ამოსაშრობად, კიდევ შიგ უმატებენ ნეხვს, ნაგავსა და ყოველგვარ სიბინძურეს და ამით უფრო ანოყიერებენ მათ სხვა-და-სხვა სნეულებათა ბაქტერიების გასამრავლებლად და უფრო შხამიანად ხდიან.

ქუჩების შეკეთებაზე უმალ ადგილობრივ მთავრობას ამ წუმპე-ტბორების ამოშრობაზე უნდა ეზრუნა. ხალხის ჯანმრთელობის განადგურებას შეუსწორებელ ქუჩებზე ჯანმრთელად სიარული სჯობიან. თუ მეტყვით-სილამაზედ,-სილამაზედ ვერ ვაღიარებთ სიბინძურეზე ჩაცმულს კოხტა სამოსელს.

პირველ რიგში უნდა იქნეს ამოშრობილი ის ტბორები, რომელიც ბაზარშივე, ანაკლიის ქუჩაზე ხიდის ორთავ გვერდებზე არის დაგუბებული. და სასახლის ბაღში ყოფილი აუზები უნდა იქნეს ამოწმენდილი და სუფთა წყლით განახლებული.

კიდევ ერთ რამეს უნდა მიექცეს ყურადღება: ამას წინად მილიციელების მიერ მოკლული ყაჩაღი ქაჯაიას გვამი დაუმარხავთ ზემოთ ხსენებულ ხიდის ყურთან, მდინარე ჩხოუშიას ნაპირზედ (ალბად დროებით, მაგრამ გვამი დღემდე იქვე დარჩა) სჩანს საფლავი საჭირო სიღრმისა არ ყოფილა და უკვე სიცხიან დღეებში გახრწნილი გვამის სუნი სცემს ხიდზე და გზაზე მიმავალთ. გარდა იმისა, რომ იწამლება ჰაერი, იწამლება მდინარე წყალიც-გვამიდან განადენი ხრწნილის სითხით. ამასთანავე უნდა იცოდეთ რომ ის ყაჩაღი მწოლარე ავადმყოფი იყო რაღაც სნეულებით. საჭირო იყო მისი სადმე სხვა ადგილას დასაფლავება.

ყოველივე ამის გარდა უნდა აღვნიშნო, რომ ქ. ზუგდიდში ერთი აბანოც არ მოიპოვება. ეს არა-ნაკლებ საშინელ [illegible] ზაფხულობით ძალა-უნებურათ მიეტანება ადგი[illegible] ბრივ მდინარეში [illegible] მდინარე-კი [illegible] ლებლად მოწამლულია ათასგვარი სნეულებით იგი გახდება მათი საუკეთესო გამავრცელებელ [illegible] შვალებად. სხვა რომ არა იყოს-რა, სიცხვილ[illegible] რომ ქალაქ ზუგდიდს ერთი აბანო არა ჰქონდ[illegible] რომ მთავრობა ამას მოინდომებდეს, სულ ადვილ[illegible] შეიძლება შეკეთება იმ აბანოებისა, რომლებიც რამდენიმე წლის უკან დაიწვა.

ოდიშელი.

## აკაკის სამგლოვიარო კრებულისგამოცემის შესახებ

განსვენებული მგოსნის აკაკის დაკრძალვის შემდეგ სამგლოვიარო კომიტეტმა დაადგინა, გამოეცა სამგლოვიარო კრებული. ამისათვის არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელშიაც მოყვნენ: გრ. დიასამიძე, სამ. ფირცხალავა, პავლე საყვარელიძე, ექიმი ვ. ლამბაშიძე, ი. გოგოლაშვილი და მ. წულუკიძე. ამ კომისიამ მაშინ დაამთავრა მასალების შეკრება და გადასცა სარედაქციო კომისიას.

ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოსულიყო კრებული, რომელშიაც იქნებოდა აღწერილი აკაკის ბიოგრაფია, ავადმყოფობის ისტორია, უკანასკნელი წუთები, გარდაცვალება, გარდაცვალების შემდეგ პირველი დღეები, რა ხდებოდა საჩხერეში, ტფილისში, სხვა ქალაქ-დაბა-სოფლებში, აკაკის ცხედრის გამოსვენება საჩხერედან, საჩხერედან ტფილისამდე, ჩასვენება ტფილისში, გადმოსვენება [illegible] შვეთის ეკლესიაში, დასაფლავების დღემდე, დას[illegible] ფლავება, დეპეშები, საუკეთესო სიტყვები, ლექსებ[illegible] წერილები და სხვა.

წიგნი იქნებოდა დასურათებული, ზომით 5[illegible] გვერდზე მეტი; ამისთვის წინდაწინ უნდა გამა[illegible] თულიყო ხელის მოწერა. მას შემდეგ გადის [illegible] წელი და არ ვიცით, რა ბედი ეწვია ამ მასალას, [illegible] ვის ხელშია. საჭიროა ამის შესახებ ეხლავე აღიძრ[illegible] საკითხი და ეს მასალები გადაეცეს სახელმწიფ[illegible] გამომცემლობას, უკე თუ კერძო ინიციატივით [illegible] ეღირსება მას დაბეჭდვა.

ველით გამოხმაურებას, თუ სად არის ეს შე[illegible] როვილი მასალები და დაიბეჭდება თუ არა?

ლადო ბზვანელი.

## ხელოვნება

### საოპერო თეატრი.

ლეონ და სრბუი აზარაპეტიანის სტუდიის საღამომ თითქმის მთელი დარბაზი მიიზიდა. ეჭვი არ არის, რომ ტფილისის ახალგაზრდობაში დიდ ინტერესს იწვევს ყოველგვარი ხელოვნება, მაგრამ ჩემის ფიქრით, მას განსაკუთრებით იზიდავს ხარეოგრაფიული ხელოვნება. ტფილისში რამდენიმე სტუდია არსებობს ხელოვნების ამ დარგისა; პერინის სკოლა, რომელიც უფრო კლასიკური მიმართულების მიმდევარია და აზარაპეტიანის სტუდია, სადაც უპირატესობა ხორეოგრაფიის რეალურ მიმართულებას აქვს. ამ უკანასკნელმა სტუდიამ თავისი მეცადინეობის სანიმუშოდ დადგა იდეები, რომლებიც განხორციელებული არიან ცნობილ აისედარა დუნკანისა და მისი მიმდევრების—პეტერბურგის სახელმწიფო თეატრის ბალეტმეისტრის მიხეილ ფოკინის და მოსკოვის—მიხეილ მორდკინის ბალეტში; სახელდობრ,—რეალიზმი და ადამიანის სხეულის სილამაზის კულტი. აღნიშნული სტუდიის საღამოს პროგრამა მეტად მრავალფერი იყო. პირველ განყოფილებაში დადგმულ იქნა პანტომიმა ახირებული მეფე-ქალის კლეოპატრას და რომაელ სარდალ ანტონიის ცხოვრებიდან. პანტომიმა შესდგებოდა მთელ რიგ პლასტიურ ცეკვიდან და ჯგუფებიდან. შინაარსს შეადგენს: ერთ-ერთი სასიყვარულო ეპიზოდი კლეოპატრის ცხოვრებიდან, რომელიც ერთი მიზნისაკენ ისწრაფოდა—ცხოვრებით დატკბობისაკენ, ყოველ მის გამოვლენაში და დატკბობას, რომელიც როგორი გზითაც არ უნდა ყოფილიყო მიხწეული. პანტომიმა გათამაშებულ იქმნა ცოცხლად და ინტერესით. ცეკვებიდან აღვნიშნავ უპირველეს ყოვლისა ერთი მოწაფის (ალბად მეტად ნიჭიერის) დამთავრებულად ასრულებულ გველებთან ცეკვას. ამსრულებელმა გამოიჩინა მშვენიერი ტეხნიკა და მხატვრულობა. ძალიან კარგი არის მოწაფე ქალი, რომელიც გამოსახავდა ახალგაზდა ეგვიპტელ ამუნს, შეყვარებულს მეფე-ქალ კლეოპატრასთან და დაღუპულს საწამლავით ამ გრძნობის გამო; შემსრულებელი ქალიშვილის გრიმი და პლასტიკა სავსებით ფარავდა სქესს და სცენაზე ვაჟი გეჩვენებოდათ. ცალკე groupetto-ს ცეკვებიდან აღვნიშნავ მაშკოვსკის სერენადის შესრულებას, გრიგის ვალსის, გლეხური ცეკვა ფალია[illegible] შვილისა, პოლიმინელ რახმანინოვისა და აგრეთვ[illegible] ვალსი კრეისლერისა Caprice de Uienne. ვერ არი[illegible] კარგად შესრულებული რახმანინოვის პრელუდი[illegible] C's-moll,—პროგრამაში წაშლილია, რომ აქ ბრძოლა სწარმოებს ბედთან (fatum) და სჩანდა, რომ ამსრულებელი ფიზიკურ უძლურებას ებრძოდა. შოპენის ვალსი უფრო ლირიული ხასიათის სურათი[illegible] გამოსახატავადაა აუცილებელი (როგორც უმთავრესად, მთელი მუსიკა შოპენისა).

საერთოდ საღამომ დასტოვა მეტად კარგი შთაბეჭდილება, მიუხედავად განსაკუთრებული რეალურ გარემოსი. შესრულების შეფასება არ შეიძლებოდა ეროტიული მხრით, მით უფრო, რომ საამისოდ არავითარი საბაბი არ ყოფილა. სტუდიის მიზანი იყო—სილამაზის და მხატვრობის გამოსახვა და ეს მიზანი სავსებით მიღწეულია.

პ. ბებუთოვი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

გაზეთ „ტრიბუნის“ კანტორისაგან

ივნისის 1-დან „ტრიბუნა“ ეღირება:

თვიურად . . 1000,000 მ.
ცალკე ნომერი . 40,000 „

ტფილისის აღმასკომი

ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ კოჯორში სეზონი დაიწყება

მხოლოდ 15 ივნისიდან

ამისათვის აღნიშნულ ვადაზე ადრე კოჯორში გადასვლა და სააგარაკოდ დაბინავება შეუძლებელია, ამასთანავე ვაცხადებთ, რომ იმ პირთ, ვინც კოჯორის აგარაკები ინახულა და კოჯორის სამეურნეოდან მიიღო შესაფერი ანგარიში, თუ სამი დღის განმავლობაში ფასს არ გადაიხდიან, აგარაკები გადაეცემათ სხვას.

№ 365. 2—1

აღმასკომის კომუნალური განყოფილება

აცხადებს ყველა მოქალაქეების საყურადღებოთ, რომ პირველ ივნისიდან ა. წ. წყალსადენის მანეთის კურსი 1.000.000 მან. შეცვლილია 1.600.000 მან.

კომუნ. მეურნეობ. გამგე: ს. ულენტი.

წყ. კანც. გამგე საქმის მწარმოებ.: ნ. ბვირიშიანი.

№ 366. 2—1

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 320 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. ნყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. №.